 გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ბორჯომი

21 აპრილი
ხუთშაბათი
2022 წელი
№16 (9226)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

გილოცავთ, ჩვენთან არს ღმერთი..!

ოთარ არბოლიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი

ძვირფასო ბორჯომელებო, გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

აღდგომა სიყვარულის, სიკეთის, სიცოცხლის გამარჯვების, რწმენის და საყოველთაო განახლების დღესასწაულია.

ვულოცავ მთელ საქართველოს, ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს. გაძლიერებასა და გამარჯვებას ვუსურვებ ყველა ოჯახს, კეთილი იმედების გამართლებას ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

აღდგომის დღესასწაული უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია თითოეული მართმადიდებელი ქრისტიანისთვის ეს დღე ყველაზე დიდი, სიხარულისა და იმედის მომტანია. სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების ზეიმია.

კიდევ ერთხელ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ჭნეჯილ ჯჯილა

- დიდი ორშაბათი – როდესაც იესომ დაწყევლა უნაყოფო ლელვი;
- დიდი სამშაბათი – როდესაც იესომ ტაძარში ახალი მოძღვრება იქადაგა;
- დიდი ოთხშაბათი – როდესაც მოწაფეებმა იესოს სერობა მოუწყვეს;
- დიდი ხუთშაბათი – როდესაც იესომ თვითონ გაუმართა მოციქულებს სერობა, ამხილა იუდა და დაადგინა ზიარების საიდუმლო;
- დიდი პარასკევი – როდესაც იესო აწამეს და ჯვარს აცვეს;
- დიდი შაბათი – როდესაც იესო დაკრძალეს.
- აღდგომა – როდესაც იესო მკვდრეთით აღდგა.

რწმუნებულმა სამუშაო შეხვედრა გამართა

სამხარეო ადმინისტრაციაში, სახელმწიფო რწმუნებულმა **ბესიკ ამირანაშვილმა** რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრას რწმუნებულის მოადგილე **შალვა ბერძენიშვილი** და სამხარეო ადმინისტრაციის სამსახურების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს 2022 წლის როგორც დაგეგმილი, ასევე გარდამავალი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის საკითხი.

აღინიშნა დედა ენის დღე



1978 წლის 14 აპრილს, თბილისში მასობრივი სტუდენტური მანიფესტაცია დაიწყო. ახალგაზრდები საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით, კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის შესახებ ჩანაწერის ცვლილებას აპროტესტებდნენ. ცვლილების მიხედვით საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში ქართულ ენის სახელმწიფო ენის სტატუსი უქმდებოდა. ქართველი ახალგაზრდების ერთიანობის შედეგად კი ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნდა.

1990 წლიდან საქართველოში 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების აღსანიშნავად დედა ენის დღე დაწესდა.

უკრაინელი ბავშვი დვირის საბავშვო ბაღში ჩაირიცხა

უკრაინის მოქალაქე, 5 წლის **სერგო ხაჭაპურაძე** ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის საბავშვო ბაღში ჩაირიცხა. აღსაზრდელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** დვირის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ელზა კუჭუხიძემ,** ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარემ **ლევან თედიაშვილმა,** ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **სალომე თედელურმა,** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ბორჯომის ჯანმრთელი მომავალის დირექტორმა **ნინო ბენდელიანმა** და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებმა მოინახულეს და საჩუქრები გადასცეს.

პატარა სერგოს, საბავშვო ბაღში საზეიმო დახვედრა მოუწყვეს, ბაღის აღსაზრდელები ქართული და უკრაინული მუსიკალური ნომრებით წარდგნენ სტუმრების წინაშე.

დავით ზაალიშვილმა პატარა აღსაზრდელს წარმატებები უსურვა, მის მშობლებს კი მაქსიმალური თანადგომა და მხარდაჭერის პირობა აღუთქვა.

- ილია, დედასთან ვალერია კოზიშკაიასთან ერთად, ბორჯომში ხარკოვიდან ჩამოვიდა. ბავშვის მამა **ვანო ხაჭაპურაძე** ბორჯომელია და ოჯახთან ერთად უკრაინაში ცხოვრობს. საომარი მოქმედებების გამო, ბავშვი დედამ ორ დასთან ერთად საქართველოში ჩამოიყვანა, - განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ.

მართლმადიდებლური დღესასწაულები

აღდგომა



საზეიმოდ გუგუნებენ ჩვენი ქვეყნის სამრეკლოებში სალიტანიო ზარები, ისინი ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას აუწყებენ ჩვენს ხალხს. ზეიმობს წმინდა ეკლესია თავისი ფუძემდებლის აღდგომას მკვდრეთით. ენით გამოუთქმელ სიხარულს დაუსადგურებია ყოველი ჩვენგანის სულსა და გულში. ამ სიხარულით აღვსილმა მინდა მოგილოცოთ და გახაროთ ყველას: **ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!**

ქრისტეს აღდგომის დღესასწაული ჭეშმარიტი სიკეთისა და სიყვარულის ზეიმია. ქრისტეს აღდგომასთან ერთად აღსდგა რწმენა და სასოება ჩვენი იესო მაცხოვრისადმი. რწმენა შემოქმედისა. დღეს ჩვენში აღსდგება იმედი იმისა, რომ არ მოაკლდება ქვეყანას მშვიდობა და სიყვარული აწ და მარადის.

აღდგომა. რა ბევრის მთქმელია ეს სიტყვა ყოველი ჩვენგანისათვის. ეს ხომ განახლება არის, ეს ხომ დაუსრულებელი სიცოცხლე და უკვდავებაა ჩვენი სულებისა. დიახ, ქრისტემ თავისი ბრწყინვალე აღდგომით დაამარცხა სიკვდილი და მოუტანა ადამიანებს დაუსრულებელი ცხოვრება.

სიცოცხლე ყველაზე ძვირფასი ნიჭია, რომელიც აქვს ღვთისაგან კაცს მომადლებული. უკვდავად შექმნილ ადამიანს საუკუნეების განმავლობაში ზარავდა განცდა სიკვდილისა, რომელიც ქვეყნად შემოვიდა კაცთა შეცოდებით. ადამიანს არ ყოფნიდა ძალა იმისა, რომ დაემარცხებინა იგი. ასე გმინავდა კაცობრიობა მის უღელქვეშ საუკუნეების განმავლობაში. საჭირო იყო დიდი ძალა, დიდი შემწე, რომ წინ აღდგომოდა სიკვდილს და დაეთრგუნა იგი. ეს ძალა უნდა ყოფილიყო აღთქმული მესია,

მხსნელი ქვეყნიერებისა – იესო მაცხოვარი. სწორედ მან ერთმა შეძლო შეესვა ადამიანთა ათასგვარი უკეთურებით სავსე მწარე სასმისი და დაეთრგუნა სიკვდილი ქვეყნიური. მაგრამ ეს არ იყო მთავარი: მთავარზე უმთავრესი ის იყო, რომ საშინელი ტანჯვა-წამებისა და სიკვდილის შემდგომ უფალი მესამე დღეს ხორციელად აღსდგა მკვდრეთით. აი ეს იყო დიდი გამარჯვება, აი ეს იყო რაზედაც ოცნებობდა ადამიანი. სიკვდილთან ერთად ქრისტემ მოაკვდინა ძველი ადამიანი, ადამიანი ცოდვილი და ჭუჭყიანი, შემდგომ კი აღსდგა ვითარცა განწმედილი განახლებული, აღდგა ისეთი, როგორიც იყო საჭირო უკვდავთა ცხოვრებისათვის. და ამიტომ როდესაც ვხარობთ ქრისტეს აღდგომით, უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ მოვაკვდინოთ ჩვენი ცხოვრების მანკიერი მხარეები. უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ განვიწმინდოთ. როგორ განვაახლოთ, ბუნება ჩვენი, რომ განწმედილნი და განახლებულნი ღირსნი გავხდეთ ქრისტესთან ერთად ბრწყინვალე აღდგომის, დაუსრულებელი სიხარულისა და სიკეთის მოპოვებისა.

ყველას გილოცავთ ქრისტეს აღდგომის დღეს.

ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!

სოფლის მხარდაჭერის პროგრამები გრძელდება

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების საერთო კრებები და კონსულტაციები გრძელდება. მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტული წინადადებებიდან, ხმათა უმრავლესობით, შერჩეულ იქნა შემდეგი პრიორიტეტული წინადადებები:

- **სოფელი დიდი მიტარბი გზის რეაბილიტაცია;**
- **სოფელი პატარა მიტარბი გზის რეაბილიტაცია;**
- **სოფელი თორი გზის რეაბილიტაცია.**

შეხვედრებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზადამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი **ზურაბ კორძაია** და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ადგილობრივებს პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ძირითადი პრიორიტეტები გააცნეს და სოფლებში არსებული საჭიროებების მოგვარებაზე იმსჯელეს.

ამ ეტაპზე, შეხვედრები მუნიციპალიტეტის 29 სოფელში უკვე გაიმართა, სადაც მოსახლეობამ ხმათა უმრავლესობით თავად გადაწყვიტა, რას მოხმარდება დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა, შერჩეული პროექტები კი დასამტკიცებლად ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება.

ახალდაბაში კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია დასრულდა

ახალდაბაში, რუსთაველის ქუჩაზე კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია დასრულდა. პროექტის ფარგლებში, რეაბილირაცია ჩაუტარდა შენობის ფასადს, შეიცვალა სახურავი, კარ-ფანჯარა, მოეწყო კიბე, აივანი და დეკორატიული ხის მოაჯირი. ასევე განხორციელდა შიდა სარემონტო სამუშაოები, სრულად განახლდა მინი საკონცერტო დარბაზი.

კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია ადგილობრივი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 232145 ლარით დაფინანსდა.

ახალდაბის კულტურის ცენტრში განთავსებულია მერის წარმომადგენლის ოფისი, ბიბლიოთეკა, სამუსიკო სკოლა და კულტურის ცენტრი.

„მოგეხსენებათ, აღნიშნული შენობა წლების განმავლობაში არ გარემონტებულა. ჩემთვის და ჩვენი გუნდისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია სოფლებსა და დაბებში კულტურის სახლების განახლება. ცენტრს ექნება როგორც კულტურული ასევე საგანმანათლებლო დატვირთვა. ახლადრეაბილიტირებული ცენტრი მრავალ საინტერესო კულტურულ ღონისძიებას უმასპინძლებს, - განაცხადა ბორჯომის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა.**

აღდგომა სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების დღესასწაულია!

ქრისტე აღსდგა – ჭეშმარიტად!

ერთი შეხედვით ყოველი ქრისტიანისათვის ჩვეულ და ახლობელ სიტყვებში, პასექის დღესასწაულის დადგომას რომ ულოცავენ ერთმანეთს, არის უდიდესი ჭეშმარიტება.

აღდგომა. რა არის იგი, რა მნიშვნელობა აქვს მას ქრისტიანულ რელიგიაში და საერთოდ კაცობრიობისათვის? ძველთაგანვე ადამიანთა შეგნება იყოფოდა ორ საპირისპირო მიმართულებად- ულმერთოთა და ღვთისმოსავთა მსოფლმხედველობად. ისეთი ადამიანები, ვისაც არა სწამთ ღმერთი, ეყრდნობიან მხოლოდ თავის ხუთ გრძნობას და თვლიან, რომ ღმერთი ადამიანმა შეთხზა ბუნებასთან საკუთარი უსუსურობის დაძლევის და მასთან ჭიდილის გასაადვილებლად, ამტკიცებენ რა, რომ ჭექა-ქუხილის, მიწისძვრის, ავადმყოფობის და ათას სხვა გაჭირვებისაგან დაშინებულმა ადამიანმა ჰპოვა თავშესაფარი რელიგიურ აზროვნებაში. ან კიდევ უფრო უარესი, რელიგია გამონაგონია ხალხის დამორჩილებისათვის, წესრიგისათვის.

ავიწყდებათ, რომ მთელი კაცობრიობის ისტორია, ადამიანთა ურთიერთობათა განვითარება დამყარებულია იმ საფუძველზე, იმ ფასეულობებზე, ნორმებზე, რასაც ყოველთვის ქადაგებდა რელიგიური აზროვნება და რაც წარმოიშვა მის წიაღში. ამის გარეშე ადამიანი გადაიქცეოდა უგუნურად, ღმერთის საწინააღმდეგო შეხედულება გაუჩნდება ისეთ ადამიანს, ვინც ამ ქვეყანაში მოსულია როგორც მომხმარებელი, ვინც თვლის, რომ ეს სამყარო შექმნილია მისთვის, მისი სარგებლობისათვის, რომ დაიკმაყოფილოს ხორციელი მოთხოვნილებები. ეს არის მარტივი, გრძნობებს დაქვემდებარებული ადამიანის გონების თვალსაზრისი, რომელიც საკუთარი პიროვნებით შემოფარგლულა.

საპირისპიროდ ამისა არის რელიგიური აზროვნება. საფუძველი ამ მსოფლმხედველობისა არის საკუთარი არსების მეორეხარისხოვან, სამყაროს შემადგენელ ნაწილად შეგრძნობა გააზრება.

რელიგია, რომ შეშინებული ან ცრუ და მატყუარა ანგარების მქონე ადამიანის გონების ნაყოფი არ არის, მიხვდება ყოველი გონერი კაცი, მხოლოდ იმის გააზრებითაც, რომ დაშინებულ ადამიანს არ შესწევს ძალა ამაღლებული მოქმედებისა, ხოლო უზნეო, მდაბალ, ცრუ გონებას ამაღლებული, ზნეობრივი აზროვნებისა, რაც შეეხება რელიგიურ ჭეშმარიტებებს, ისინი თეორიული გააზრების დასკვნები კი არ არიან, არამედ საკუთარ გამოცდილებიდან გამოტანილი მითითებანი და სწავლებანი. დედამიწა არასდროს არ ყოფილა მიტოვებული ღმერთის მიერ ისე, რომ არ ჰყოლოდა მას თავისი რჩეულნი, ღვთივშემოსილი მოძღვრები. მოძღვართ ღმერთთან უშუალო და ამ ურთიერთობით მიღებული ნათელი ჭეშმარიტებანი მოჰქონდათ თანამოძმეებთან ღვთის დავალებით, ვითარცა ანთებული ჩირაღდნები ბნელეთის, უვიცობისა და უმეცრების გასაფანტავად. უფალი ღმერთი თავის რჩეულთ, განსაკუთრებით ზნეობისა და სამართლიანობის დაცემისას მოუწოდებდა ადამიანთა სულის ასამაღლებელი ღვაწლისაკენ. ასე იქმნებოდა რელიგიური აზროვნება, წესი, რჯული, ასე მტკიცდებოდა რელიგიური ჭეშმარიტებები. მაგრამ ადამიანთა მოდგმას, პირველი ადამიანის სულიერი დაცემიდან დაწყებული, დაებედა სხვა

მრავალ უკეთურებასთან ერთად სული ეჭვისა, წმინდა მამებს აქვთ ნათქვამი: **რომ ღმერთი ბევრს სწამსო, მაგრამ ღმერთისა კი ძალზე ცოტასო, ან კიდევ: რწმენაა არა ის, რომ ღმერთი გწამდესო, არამედ ის, რომ გჯეროდეს ღმერთისა, რომელიც, შემსრულებელია შენი კეთილი თხოვნისაო.** გწამდეს, რომ არსებობს ღმერთი ეს ბედნიერებაა, მაგრამ იყო დარწმუნებული საკუთარი სულის მარადიულობაში, როგორც მარადიული ღმერთის ქმნილებისა, რაშიც გამოიხატება ჭეშმარიტი ცოცხალი რწმენა, ბევრისთვის ძნელია. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ყოველთვის იყო ძირითადი საკვანძო საკითხი ადამიანისათვის. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის მოძღვრები. წინასწარმეტყველები, ღვთით შემოსილი მამები მოძღვრავდნენ ყოველთვის სულის უკვდავებაზე, ადამიანის გულის კუნჭულში მაინც ბუდობდა ეჭვის პატარა ნაპერწკალი სხვადასხვა გარეგანებების ზეგავლენით ეს ნაპერწკალი ხშირად გადაიქცეოდა ყოველივე კეთილის შემმუსვრელი ურწმუნოების დიდ ცეცხლად და იწყებოდა სარწმუნოების და რწმენის დაცემის ჟამი.

ერთ-ერთ ამგვარი რწმენის დაცემის პერიოდში, როდესაც თვით რჩეულთა შორის რჩეულნიც კი ვერ შეძლებდნენ ადამიანისათვის იმედის და შვების მიცემას, მოძღვრის სახით მოევლინა დედამიწას თავად ღმერთი. მიიღო რა ადამიანური ბუნება, იშვა ადამიანად ადამიანთა სამყაროში და მიიღო საკუთარ თავზე ადამიანთა საზოგადოების ყველაზე მწარე ხვედრი - ეცვა ჯვარს მაგრამ მხოლოდ ამით რომ შემოსაზღვრულიყო, არ განიფანტებოდა ეჭვის ის ნაპერწკალი მრავალთათვის, რომელსაც აქრობდა თვით თეორიული განსჯა ეჭვი კითხვისა სიკვდილისშემდგომი არსებობისა. და კაცობრიობის ისტორიაში პირველი თვალნათლივი მაგალითით იქნა ნაჩვენები სულის დამოუკიდებლობა და ზემდგომობა სხეულზე, იქნა ნაჩვენები სულის უკვდავება და მისი არ გაქრობა სხეულის სიკვდილის შემდეგ.

აღდგომა, ეს არის უდიდესი ჭეშმარიტების სამაგალითო ჩვენება, ქრისტიანული მართმადიდებლური მრწამსის დამაგვირგვინებელი, ადამიანის სულის ზეიმის მძლავრი განცხადება.

აღდგომა, ეს არის გაფრთხილება ულმრთოთათვის, ვისაც სწამს მხოლოდ ეს ცხოვრება. ხორცთა და ვნებათა დაკმაყოფილება, ვისაც ჰგონია, რომ სიკვდილი წერტილს უსვამს ყველაფერს.

აღდგომა, ეს არის გაფრთხილება სოფლისაგან ჩაგრულთათვის, იმედი სნეულთათვის, დასაყრდენი სუსტთათვის და მამოძრავებელი ძალა სულით ძლიერთათვის.

აღდგომა, ეს არის სიკვდილის მოჩვენებითობის მხილება, ეს არის რწმენის უდიდესი მოცულობა უკვდავებისა, სულის რწმენისა, რომელიც მოგვცა ჩვენ ყველას უფალმა ღმერთმა, ჩვენმა იესო ქრისტემ. ამინ, ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

არქიმანდრიტი
იობი (აქიაშვილი)

ქართველთა უდიდესი ზეიმი!



აღდგომა ქრისტიანული სარწმუნოების ყველაზე გამორჩეული დღესასწაულია და ეძღვნება იესო ქრისტეს „მკვდრეთით აღდგომას“. აღდგომა მოძრავია და აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ. სავსე მთვარის მომდევნო კვირას, პასექის სწორს, მოდის რომელიმე კვირადღეს (ახალი სტილით 4 აპრილიდან - 8 მაისამდე). მას წინ უძღვის დიდმარხვა, რომელიც მორწმუნეების აღდგომის შესახვედრად ამზადებს. აღდგომის დღესასწაული გრძელდება ერთ კვირას (ნათელი კვირა), ახალკვირამდე (კვირაცხოველი).

მორწმუნეები სააღდგომო კვერცხს - წითლად ღებავენ (წითელი ფერი ქრისტეს მიერ ადამიანთა კეთილდღეობისათვის დანთხეული სისხლის მოსაგონარია. კვერცხი კი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა).

აღდგომის აღნიშვნის დღე დაადგინა ნიკეას საეკლესიო კრებამ (325წ.) სააღდგომო საგალობლების უმრავლესობის ნაწილი იოანე დამასკელს ეკუთვნის.

ქრისტიანული აღდგომა საწყისს ილებს ებრაული პასექიდან, რომელსაც ებრაელები მესაქონლე ტომები გაზაფხულზე აღნიშნავდნენ, როცა უდაბნოსა და საძოვრების „სულებს“ ისინი ბატკანს სწირავდნენ მსხვერპლად.

ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნიდან, როცა ებრაელები ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, პასექი დღესასწაულად იქცა. უფრო გვიან რაბინებმა ებრაელი ხალხის მესიის მოსვლის იდეა ჩართეს მასში. აღდგომას გენეტიკური კავშირი აქვს ძველი აღმოსავლეთის იმ ღმერთების კულტთან, რომლებიც თითქოს კვდებოდნენ და გაზაფხულზე კვლავ ცოცხლდებოდნენ. (ოსირისი - ეგვიპტეში, ადონისი - ფინიკიაში, თამუზი - ბაბილონში, კიბელე-ფრიგიაში და სხვა).

აღდგომა ქრისტიანულ სარწმუნოებაში ითვლება სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღესასწაულად.

საქრისტიანოს წმინდათაწმინდა ადგილი

ქრისტიანთა წმინდა ადგილია გოლგოთა, სადაც ჯვარს აცვეს და დაასაფლავეს ქრისტე. IV საუკუნეში კონსტანტინე დიდმა ააშენა ბაზილიკა. შემდეგ იქვე ააგეს მრგვალი ეკლესია და სხვა შენობები. მას შემდეგ ეს ადგილები ცნობილია **„წმინდა გოლგოთისა და აღდგომის“ სახელწოდებით და ითვლება მთელი საქრისტიანოს წმინდათაწმინდა ადგილად.** მის პატრონობას ეცილებოდნენ როგორც სხვადასხვა ქრისტიანული ერები, ასევე მაჰმადიანები (არაბები, სპარსელები, სელჩუკები, მამლუქები, ოსმალები).

საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ მოპოვებული აღდგომის სავანეში ქართველებს, რომლის გავლენაც ძალიან გაიზარდა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებისას და განსაკუთრებით საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერების ხანაში, ზოგჯერ აღდგომის სავანე ქართველთა ხელში იყო, რომლებიც თითქმის მუდამ ითვლებოდნენ „მფარველად და ქტიტორად“ გოლგოთისა და აღდგომისა.

XI საუკუნეში ქართველებს აქ საკუთარი ეპისკოპოსიც ჰყოლიათ, რომელიც საისტორიო ძეგლებში ცნობილია „გოლგოთელის“ სახელით.

აღდგომის სავანეში როგორც პალესტინის სხვა - წმინდა ადგილებში, ქართველი საერო მოღვაწეები მწიგნობრობასაც ეწეოდნენ. არის ცნობები, არაერთი წიგნი დაიწერა ან გადაიწერა „სანახებსა და წმინდისა - აღდგომისა“.

XI საუკუნის პირველ ნახევარში, სანამ ქართველები იერუსალიმის ჯვრის მონასტერს ააშენებდნენ, აღდგომის სავანეში ხელნაწერთა გადაწერასა და მომზადებაზე მოღვაწეობდა ქართველ მწიგნობართა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გოლგოთელი ეპისკოპოსი.

XIII-XIV საუკუნეებში ქართულ წყაროებში მოხსენებულია გოლგოთის დეკანოზი, ქრისტეს საფლავის მოძღვართ მოძღვარი და აღდგომელი, რომელსაც აღდგომის სავანეში ქართველთა კუთვნილი წმინდა ადგილების მოვლა და დაცვა ევალებოდა. ქართველებს ხშირად უხდებოდათ ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად. ამის დასტური ისტორიული მასალები ქართულ და არაბულ წყაროებშია და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებშია შემონახული.

ქართველებმა XIV საუკუნის 20-იან წლებში მოიპოვეს ქრისტეს საფლავის კლიტე, რომელსაც ერთი საუკუნის განმავლობაში ფლობდნენ. (წყარო „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტომი №3 1977წ.)

რეჭანი – ბაბილიკო

ხის ჯვარი, რომელზეც იესომ სული დალია, ხალხმა მოიპარა და ძალიან ღრმად ჩაფლა მიწაში, რათა ურჯულოებს არასოდეს შესძლებოდათ მისი ნახვა და განადგურება.

გავიდა მრავალი ხანი. წმინდა ელენემ გადაწყვიტა ამ ჯვარის პოვნა, რათა იერუსალიმში ეკლესიაში გაეგზავნა და მორწმუნეებს შესძლებოდათ მასთან მიახლოება და ლოცვა.

ბრძანება გასცა, ახლო-მახლო მინდორი გადაეთხარათ და ჯვარი მოეძებნათ. თვეები მიმდინარეობდა ძიება, მაგრამ უშედეგოდ. ერთ დღეს ელენი მინდორში გავიდა სასეირნოდ. საოცარი სურნელი მოიტანა ქარმა საიდანღაც. ელენი მიხვდა, რომ რომელიღაც მცენარე აფრქვევდა ამ სურნელებას. დაიწყო მდელოს დათვალიერება და აღმოაჩნა პატარა ლამაზ ფოთლებიანი მცენარე თეთრი ყვავილებით. უცნაური ის იყო რომ, ამ მცენარეს სხვადასხვა ფერის შეფერილობის ფოთლები ჰქონდა. წითელი და მწვანე. წმინდა ელენი მიხვდა, რომ ეს იყო ნიშანი უფლისგან. ბრძანა, იქ გაეთხარათ მიწა და ჰოი, საოცრებავ, სულ ახლოს, ისე რომ ღრმად ჩასვლაც არ დასჭირვებიათ, იპოვეს ჯვარი.

ჯვარი, რომელზეც ადამიანად ხორცშესხმული მაცხოვარი გააკრეს.

ჯვარი, რომელზეც უკანასკნელი ამოსუნთქვა დატოვა ქრისტემ.

ჯვარი, რომელიც კაცობრიობის მფარველად და მცველად იქცა.

ჯვრის ადგილსამყოფელის მაუწყებელ მცენარეს ვასილიკო ანუ ჩვენებურად სამეფო უწოდა ელენიმ.

მას შემდეგ ვასილიკო სამყაროს მეუფის სიახლოვის გარანტიად ითვლება.

წითელი ვასილიკო ქრისტეს სისხლის წვეთებიდან აღმოცენდა და მისი მიღება ორგანიზმისთვის არის, წმინდა, როგორც ქრისტეს სისხლის და ხორცის მიღება ზიარების დროს.

ვასილიკო, ანუ რეჰანი ორგანიზმს წმენდს ყოველგვარი შლაგებისგან, აახლებს სისხლს, იცავს გულს, ეხმარება ადამიანს მეხსიერების გაუმჯობესებაში.

საბერძნეთში, თითქმის ყველა სახლის, ყველა მაღაზიის, ბარის, ეკლესიის წინ აქვთ გამოდებული ვასილიკო ცუდი აურის და ცუდი თვალის გასადევნად.

ჯვართამაღლების დღესასწაულზე 14 სექტემბერს ვასილიკოს ტოტებს ურიგებენ მორწმუნეებს ეკლესიაში. ვასილიკო ერთწლიან მცენარედ ითვლება, თუმცა არსებობს ოჯახები, სადაც ორი და სამი წელიც ძლებს. ამბობენ, ეს უფლის სიყვარულის და მისი მფარველობის ნიშანიაო ამ ოჯახზე.

წითელი ვასილიკო, ისევე როგორც წითელი ყაყაჩოები (არსებობს ყაყაჩო ყვითელი და ვარდისფერი) ქრისტეს სისხლზეა ამოსული და წმინდა მცენარედ ითვლება. მათი თესლის მიღება შიმშილის გრძნობას ჰკლავს, თუმცა ამავდროულად უზრუნველყოფს ორგანიზმს ყველა სიცოცხლისთვის საჭირო ნივთიერებებით.

ეჰ, რა არასწორად განვითარდა კაცობრიობა....

იმის მაგივრად, ბუნებასთან შერწყმული ვყოფილიყავით, დაგვეცვა, გამოგვეკვლია და აღმოგვეჩინა **მასში დაფარული საიდუმლოებანი, ადამიანების გენეტიკის შეცვლა-გადაგვარებაზე ვზრუნავთ.**

ვინ იცის, ეს მართლაც შეცდომაა? თუ ბოროტისგან მოსული იდეები, კაცობრიობის გასანადგურებლად?

ნიშან ჯვასლიკოს

დღეს არ სთხოვო,
ღვთისმშობელი დაღლილია,
გულზე,
ვვრიდან გარდმოხსნილი,
შვილი უწევს,
დღეს, არ სთხოვო,
ყველა სიტკვა, უძლურია,
ძმწა ისევ, დატარეს
ცოდვის სურნელს.
დღეს დედა...
სულ უბრალო,
დედა ვვართან,
ცრემლიანი,
უსამართლოდ, მოკლულ შვილით..
დღეს არ სთხოვო..
ღვთისმშობელო მაპატიე...
ვერ მოგისმენს,
განუწყვეტლივ, რადგან ტირის.
სტკივა ისე..
როგორც ცხრა თვე ნატარები,
შვილი სტკივა..
ზეციური საჩუქარი,
დღეს, რაც უნდა გაწუხებდეს,
არ გაბედო..
ამოა, მასთან, შენი სტკივარი.
დღეს არ სთხოვო..
ღვთისმშობელი დაღლილია...
დღეს გაწირეს
შვილი... მისი საფიცარი,
ყველაფერი, გვაპატია
ღვთისმშობელმა,
მხოლოდ ამ დღეს,
დაივიწყეთ სათხოვარი.

25 აპრილი მიცვალებულთა მოსახსენიებლის დღეა, ხსოვნა მათ სულებს!

ჩემი სიბერეედაუსრულებელი ფიქრი...

დედა სარკმლიდან გაჰყურებს შვილის აშენებულ ფოთოლეთის მონასტერს. მისი ზაზას საძვლეც ხომ იქაა. ზამთარს წუხდა, რომ ვერ შეძლო შვილის საფლავზე მისვლა და დატირება. ეზოდან, ხან სარკმლიდან იღვრება ცრემლად შორეულ გზაზე მზერით შვილის გაუსაძლის მონატრებას. სახლის ყოველი კუთხეც ხომ შვილს ახსენებს. შვილმკვდარი დედის ცრემლი არასდროს არ შრება... გულში იღვენთება, ყოველი წვეთი, ყოველი წამი, შვილის განადგურებასთანაა დაკავშირებული.

დიდი ტკივილით სავსე მოკრძალებული წიგნი მიუძღვნა დედამ ყამარ ტიელიძე-ბლიაძემ გარდაცვლილ შვილს ფოთოლეთის მონასტრის ქტიტორს ზაზა ბლიაძეს - **„დედის ბოლო საჩუქარი“.**

ჩემი ბოლო საჩუქარით
ვიცი, გაგახარე, შვილო,
უმძიმესი კაეშანო,
ლამაზ ოჯახს მოწყვეტილო.
ზეციურ გზას დაგილოცავ,
სადაც მართალ სულთ აქვთ ბინა,
უფალსა ვთხოვ, დაამკვიდროს
შენი სული ცათა შინა.

- გადის ჩემთვის ყოვლად გამანადგურებელი სუსხიანი ზამთარი. 7 მარტს ჩემი შვილის, ჩემი ვაუკაცის წასვლიდან მე-40 დღე შესრულდა. ჩემი საამაყო შვილი, მამულზე უსაზღვროდ შეყვარებული, ჩემმა კარგმა ზაზამ საბოლოოდ დატოვა ამა სოფელი და ზესამყაროს სულთა ლაშქარს შეუერთდებდა.

მე ამ წიგნის გამოცემისთვის ყოვლად უსუსური და უძლური ვიყავი... თურმე, როცა უფალი განსაცდელს მოგივლენს, მტკივანი გულისთვის დარდის შესამსუბუქებელ მალამოსაც გაწვდის... სასოწარკვეთილ ცხოვრებას წაღმა შემოგიტრიალებს. შეუძლებელს შეგაძლებინებს...

ამხელა უბედურება თავს რომ დამატყდა, სულით ხორცამდე განადგურებული, უფალმა არ მიმატოვა... გვერდით დამიყენა ისეთი კეთილშობილი ადამიანები, რომლებიც უბედურ დედას ჭირს მიმსუბუქებდნენ... მანუგეშებდნენ... და ჩემს უდიდეს მწუხარებას იზიარებდნენ... - წერს გულმოკლული დედა.

დედა იხსენებს შვილთან უკანასკნელ საუბარს:

- 25 იანვარს დაბადების დღე მომილოცე, გული სიხარულით ბუდიდან ლამის ამომვარდა..., - დედა, გილოცავ დაბადების დღეს, მუდამ ჯანმრთელი და გახარებული იყავიო... შენ თავს გაუფრთხილდიო.

შენ გენაცვალოს დედა, შენ როგორ ხარ-მეთქი, მე არა მიშავსო. ვიცი, გიჭირდა და დედას მაინც ამშვიდებდი... ხომ არაფერი გინდა-მეთქი, არაფერი დედა, შენი კარგად ყოფნა მინდაო. და თურმე ამ მომენტში სისხლს უსხამდნენ. ეს მოკლე დიალოგი იყო ჩვენი ბოლო საუბარი...

- ნათლით გაცისკროვნებული და იავარდით მოფენილი გზა ჰქონდეს შენს სპეტაკ სულს სასუფეველში დასამკვიდრებლად.

უფლის ნებით და წყალობით, მონატრებულ შვილს დედა გინახულებს, როცა ამის ჟამი დადგება. მანამდე კი იქნებ სიზმრად გამოეცხადო ხოლმე, შენს გულმკვდარ დედას ვისაუბროთ... ერთმანეთი მოვისიყვარულოთ...

გემშვიდობები... ზეციურ საქართველოში შეხვედრამდე, ჩემო სიკეთით აღვსილო და გაჭირვებულთა მეოხო ჩემო სიბერედაუსრულებელო ჭკვიანო შვილო!

- ზაფხულობით ეკლესიის ნანგრევებს ხშირად სტუმრობდა თბილისიდან ჩამოსული 14 წლის ბიჭი. ზურგზე აბგამოკიდებული ზაზა (სერგო) სოკოს მოსაკრეფად ამოდიოდა სოფელ ახალდაბიდან; ყოველთვის შეჩერდებოდა ხოლმე ტაძრის ნანგრევებთან, გარს შემოუვლიდა, გულის ჯიბიდან სანთელს ამოიღებდა, აანთებდა, პირჯვარს გადაისახავდა და ეამბორებოდა ჩამოქცეულ კედლებს. შემდეგ შორიახლო მოჩუხჩუხე წყაროსთან შეისვენებდა, პეშვით წყალს შესვამდა, სახეს გაიგრილებდა, ქვაზე ჩამოჯდებოდა და ბავშვურ ოცნებებში იძირებოდა. ცდილობდა, წარმოსახვით გაეცოცხლებინა შორეული წარსული, ის დრო, როდესაც სანთლებით გაჩახჩახებულ ეკლესიაში წირვა-ლოცვა ტარდებოდა და გალობის ხმები ატკბობდა ირგვლივ ყოველივეს...

ის მუხა და წიფელი დღესაც მყარად ფესვგადგმულნი დგანან ფოთოლეთის ტყეში და მოგონებებით გულს იოხებენ... ისევ ყვავის მოცხარი, ია... ისევ ეკეკლუცებიან იორდასალამს, ყოჩივარდას და ენძელას... მოუღლელად შრომობს ფუტკარი. ძველებურად ჭიკჭიკებენ და გალობენ ჩიტები... კვლავ დასტაქრობს კოდალა... თვალებბრიალა ბუ უკუნ ღამეში ეძებს საკბილოს... გულსაკლავად გაჰკივის ჭოტი... ფოთოლეთის ბინადართა ცხოვრება ძველებურად მშვიდად და ერთფეროვნად მიედინება, მაგრამ აღარსად მოსჩანს სახურავჩამოქცეული ეკლესია და მისი ნანგრევები. აღარ ბუდობენ იქ ღამურები და აღარც მათი ნამგლისებურის კამარა დაუნახავს ვისმე.

რატომ? რა მოხდა?

აი, რა მოხდა: ის პატარა ბიჭი, ასე რომ ესიყვარულებოდა და ეფერებოდა ეკლესიის ჩამოქცეულ კედლებს, დავაუკაცდა და კარგი მამულიშვილი დადგა. მან აისრულა ბავშვობის დიდი ოცნება: უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მიტროპოლიტ სერაფიმესა (ჯოჯუა) და იღუმენ ფოკას (მარკოზია) თანადგომით თბილისში მცხოვრები ახალდაბელი ბიზნესმენის **ბატონ ზაზა** ბლიაძის ძალისხმევით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში აღდგა ფოთოლეთის ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი.

კვლავ ატოკდა ეკლესიის სასიცოცხლო ძარღვი, სამრეკლოს ზარი ისევ უხმობს მრევლს...

უფალი შეეწიოს ყველა ქველმოქმედს, კეთილი საქმეების შემოქმედს, - წერს ყამარ ბებო.

იზა იანვარაშვილი



ნოდარ ღუმბაძე

„რადგან არ იცით, როდის მოვა სიკვდილი, დაბოლოეთ თქვენი წილი სიყვარული ამქვეყანაზე. დაბოლოეთ დღესვე, რადგან ხვალ შეიძლება გვიან იყოს.

დაბოლოეთ თქვენი სიცოცხლე იქ, სადაც მიდიხართ სოლმე, დაბოლოეთ თქვენი სიცოცხლე იმ ადამიანებთან, ვისაც ხვდებით სოლმე,

დაბოლოეთ თქვენი სიყვარული, რადგან თქვენს შემდეგ ვისაც მოვა და თქვენს სიყვარულზე თავის გულს ჩამოკიდებს.

თქვენი დაბოლოებული სიყვარული გაანათებს ამ სამყაროს,

აღამიანებს გზა-კვალს გაუნათებს.

თქვენ უპირველესი მოცალეობა სწორედ ეს არის!

როცა ტრაგედია გამუნჯებს

თამუნა მსხილაძის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ სრულიად ბორჯომი შეძრა. მეგობრებს დღესაც არ განელებიათ მისი ტრაგედია.

- ეს ის მომენტია, როცა ტრაგედია გამუნჯებს. ბოლო წამამდე არ ვიჯერებდი, რომ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო და ასე ვუმტკიცებდი შენს მულს და ჩემს რძალს, რომ აუცილებლად დაუბრუნდებოდი შენს ოჯახს... მაგრამ მაინც მოხდა ტრაგედია... ისევ ის ვაუკაცები მეფიქრებიან, რომლებიც მოუთმენლად გნატრობდნენ, და რომლებსაც ენატრებათ თბილი დედიკო. ნათელი და სანთელი შენს სულს, წერს თამო თეთრაძე.

და თაკო ერაძე დედის დღეს ულოცავს ცათა სასუფეველში.

- თამო გილოცავ დედის დღეს, იმ დიდ ქვეყანაში! ილოცე შენი ქმარ-შვილისთვის, ღმერთმა ბედნიერი ვაუკაცები დაგიზარდოს, როგორიც შენ გინდოდა, ჩემთვის დიდი გულის ტკივილი ხარ...

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია დიდი მწუხარებით უსამძიმრებს თამუნას ოჯახს ამ უმძიმეს ტრაგედიას, მას კი იმიერ საქართველოში ულოცავს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს...

და ანგელოზად იქცა ოჯახისთვის, ზეციდან ლოცულობს შვილებისთვის.

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა,
შენ, სახიერმა, ცაც, ქვეყანაც, სიბრძნითა ჰქმენი,
წმინდა ხარ, წმინდა, წმინდა იყავ სახელი შენი,
და სუფევ ყველგან, იყოს მარად სუფევა შენი.

დაშენით ხდება, რაც რამ ხდება, ნებაა შენი,
ვით ანგელოზთა საუფლოში, ასევე ქვეყნად,
ყოველდღიურად, არსობისა მოგვეც ჩვენ პური,
რათა დიდების გმეტყველებდეთ მარად და ერთად.

ვით შენ გვპატიობ, ჩვენც ვპატიობთ მევალეთ ჩვენთა,
ჩვენ ხომ ადამის ყლორტები ვართ, ვართ ერთი ხისგან,
განსაცდელები აგვარიდე, იყავი ჩვენთან.
ამინ!

გიხაროდენ მარადის, ზეცად სევდა არ არის,
ილოცეთ მარადის, ღმერთი ისმენს ღაღადისს.
ღმერთს მადლობდეთ მარადის,
მხოლოდ მას, სხვას არავის.

ოლიკო ლომიძე

არ ივიწყებენ ღირსეულთ

რთულია, მოიგონო ისეთი ადამიანი და გადმოსცე თუნდაც უმნიშვნელო მონაკვეთი განვლილი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, გქონდეს პატივი გეყოს მარაგი სიტყვებისა, დრო და მასალა განთავსებისა. იყო ქალბატონი მტკიცე, სპეტაკი, შეუვალი, მშრომელი, კეთილი, შეწირული დედა და ერთგული მეუღლე. ყოველივე ამ თვისებებით შემოსილმა განვლო ცხოვრება... ზუსტად ასეთი გახლდათ ქალბატონი ნაზი ბელაშვილი, რომელმაც თავის ბედი ამირან გოგოლაძეს დაუკავშირა. მათ აღზარდეს სამი შვილი - ასმათი, დიმიტრი და ნესტანი.

ნაზიმ და ამირანმა ერთად, გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან გააშენეს პარკი, რაშიც დიდი შრომა ჩადეს. უამრავი შემოთავაზებების მიუხედავად, ბაკურიანში, თავიანთ სამშობლოში დარჩენა ამჯობინეს.

დღეს ეს შესანიშნავი პარკი, რომელშიც შერეული და მარადმწვანე ხეები საოცარ გარემოს ქმნის და სადაც ბუნების ქომაგთა მიერ გამოხატული აზრები ამოტვიფრულია ყოველ ნაბიჯზე ხის დაფებზე - აჯადოებს ყოველწლიურად მის მნახველებს.

მოვლილი პარკი მუსლჩაუხრელი შრომის შედეგია. ეს იყო გვირგვინი ქალბატონი ნაზის, რომელიც შარავანდედივით ადგა თავზე და ხდიდა მას ისეთ მტკიცეს, ამაყს და შეუვალს...

კიდევ ერთხელ მინდა პატივი მივაგო აწ განსვენებულ ქალბატონ ნაზი ბელაშვილი-გოგოლაძის ხსოვნას და მივუძღვნა მოკრძალებული სტრიქონები.

ბევრი ცუდი დრო გამოიარეთ,
ბრძოლის ქარცეცხლი გენთოთ ეშმაკთან,
არ შეურიგდით უსამართლობას
და დარაჯობდით წმინდა კელაპტარს;
ქედს მოგიხრიან ყველგან ამაგდართ!
ნათელში იყოს თქვენი სპეტაკი სული, ქალბატონო ნაზი!

მარინა გულიკო გოგიბიძე,
საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიების ფაზისისა და ქალდეას აკადემიკოსი, ჟურნალისტი, წამყვანი პედაგოგი.

ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან

ავთო პაპიძეს ბორჯომში ყველა იცნობდა. ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა გარდაცვალებიდან. მას ბევრ ადგილას უმუშავია და აქედან გამომდინარე, მისი ხალასი ხასიათით თავს ადვილად დაამახსოვრებდა-ხოლმე ადამიანებს. კულტურის სფეროშიც მუშაობდა, პარალელურად ახერხებდა ორ სკოლაში ემუშავა და საარსებო წყარო შეეკსო ისედაც ობლად დარჩენილი შვილებისათვის, რომლებზეც ამოსდიოდა მზე და მთვარე, მათ შეეხაროდა და უფრო მეტად გახარებულს დაინახავდით, როცა შვილიშვილებზე იწყებდა საუბარს. ძნელია ცხოვრებამ ასე ბოლომდე წვალების გზით გატაროს. მრავალი წელი ის მოსწავლეებში ძერწავდა ხელოვანს, თავის აუხდენელ ოცნებებს, მსახიობობის დიდ წყურვილს მათში და მათთან იკლავდა. თითქოს, დაუფასებლად წაიდა ბორჯომიდან. უსიტყვოდ, უკვალოდ, თითქოს არც გაუკეთებია რაიმე მომავალი თაობისთვის... არადა, ჯერ კიდევ არ არის გვიანი, ყურადღება გამოვიჩინოთ მისი არაჩვეულებრივი შვილებისადმი. მათთვის მამა იყო მეგობარიც, თანამდგომიც, სტიმულიც და რაც შეეძლო ყველაფერი გააკეთა. ალბათ, ვერ შეხვდებით ადამიანს, ვინც განსაკუთრებით არ გაიხსენებს მის დადებით, იუმორით სავსე, მახვილ ენასა და ხასიათს. იმდენად გაჯერებული იყო თვითკრიტიკითა და ჯანსაღი იუმორით, რომ ალბათ, საკუთარ გარდაცვალებაზეც რაღაც ამბავს წარმოგვიდგენდა. უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი!

ნინოს საკარო სკოლა

ქველი ღმერთმა გვიამბოს

როცა ადამიანი ცაში გაფრინდება, ღმერთი მას სარკმელს ჩუქნის, საიდანაც ჩანან მისი ნათესავები და მეგობრები. ამ სარკმლის რაფაზე ყვავილი დგას და ტოტზე ჰკიდია ზანზალაკი. როდესაც ამ ადამიანს ახსენებენ, რეკს ზანზალაკი. როცა კარგად ახსენებენ - მზე ანათებს, როცა ტირიან - წვიმა მოდის, ყვავილი იზრდება და ადამიანის სულს ახარებს სასუფეველში.

თავიდან ხშირად რეკს ზანზალაკი, ხან მზე გამოანათებს, ხან - წვიმა მოდის და ხარობს ყვავილი. მერე ნელნელა იკლებს ზანზალაკის წკარუნი და ყვავილიც ნელნელა ჭკნება...

დაე, ყველას ჰქონდეს მოსიყვარულე გული, რომ ცრემლებით და თბილი სიტყვებით ღმერთს შეავედროს გარდაცვლილის სული, რათა იყოს ნათელში.

დაე, ყველასთვის რეკდეს ზანზალაკი და სარკმლის რაფაზე ყვავილი ყვაოდეს...

მძიმე წარსული მოგონებად დარჩა

ბედნიერი ოჯახის ისტორია

ამ რამდენიმე დღის წინ, უსათნოეს ქალბატონ მაყვალა წერეთელს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. საიუბილეო სუფრაზე მოწვეულმა სტუმრებმა იუბილარს მრავალი თბილი სიტყვა უთხრეს და განვლილი ცხოვრების ეპიზოდების გახსენება სთხოვეს. ქალბატონ მაყვალას ძალიან გაუჭირდა ომის მძიმე წლების გახსენება. სხვათაშორის, ქალბატონ მაყვალას და მისი მეუღლის სერგო ლომიძის ბიოგრაფიები, რომ იტყვიან, გაჭრილი ვაშლივით გვანან ერთმანეთს. ორივე ომის შვილები არიან. 9-9 წლისანები იყვნენ ომი რომ დაიწყო. ორივეს მამები - შალვა წერეთელი და ვასილ ლომიძე ომში გაიწვიეს და ორივემ სამშობლოს შესწირეს სიცოცხლე. ორივე ოჯახში სამ-სამი მცირეწლოვანი შვილები დედებმა დიდი გაჭირვებით დაზარდეს, ერთგული მეუღლეობის და დედობის წმინდა ვალი პირნათლად მოიხადეს.

მშობლები

ქალბატონი მაყვალა ოჯახში უფროსი შვილი იყო და როგორც შეეძლო ისე ეხმარებოდა დედას საოჯახო საქმეებში, უმცროსი და ფაქტიურად, მისი გაზრდილია. საშუალო სკოლა დაამთავრა და პედაგოგობა გადაწყვიტა, მაგრამ მძიმე ოჯახური პირობების გამო ბორჯომის შუშის ქარხანაში წუნმდებლად დაიწყო მუშაობა.

შრომისმოყვარე, ზრდილობიანი და თავაზიანობით გამორჩეული ახალგაზრდა შეუმჩნეველი არ დარჩენია. მომავალ სადედამთილოს სარძლოდ მოწონებია და საქორწინო ასაკის შვილისთვის უთქვამს, - ეს გოგო ხელიდან გასაშვები არ არისო, სერგოც ლანდად ადევნებია მაყვალას, სიყვარულის ნაპერწკალის ცეცხლი დაუნთია და... 1957 წელს შეუღლებულან.

სერგოს ორსართულიანი მამისეული სახლი კი ჰქონდა, მაგრამ სახურავიდან წვიმის დროს ისევე წვიმდა ოთახებში, როგორც გარეთ. მეუღლეებმა ახალი სახლის აშენება გადაწყვიტეს, მაგრამ სახლის ასაშენებელი ფული დიდხანს ვერ შეუგროვებიათ. შეუღლებიდან ორ წელიწადში პირველი შვილი - ვახტანგი შეეძინათ, მომდევნო ორ წელიწადში - ნონა დაიბადა, ხუთი წლის შემდეგ ვასილი მოევლინა ქვეყანას.

ახალგაზრდა მეუღლეებისათვის ოჯახის გაძღოლა არც ისე ადვილი იყო. სერგო „საქსოფლტექნიკაში“ შემდეგლებლად მუშაობდა, მერე კეთილსინდისიერი შრომა დაუფასეს და საწყობი ჩააბარეს. ქალბატონი მაყვალა რკინიგზის სადგურში დიდხანს მუშაობდა. ხან ცნობათა ბიუროში, ხან სადგურის დედათა და ბავშვთა ოთახში, ხან დიქტორად. პასუხიმგებლურ შრომას უფასებდნენ და ენდობოდნენ.

შვილები რომ წამოიზარდნენ, მხარში ამოიყენეს, ძველი სახლი დაშალეს და ახლის შენება დაიწყეს. ორ წელიწადში კიდეც გადახურეს და გამართეს. შვილები შრომისმოყვარეებად დაზარდეს.

შვილები

სერგომ და მაყვალამ მტკიცედ გადაწყვიტეს შვილებისათვის უმაღლესი განათლება მიეცათ.

ორივე ძმა სკოლის დამთავრების შემდეგ ბელარუსის დედაქალაქში - მინსკში გაემგზავრნენ და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარეს.

სამწუხაროდ, სტუდენტური წლების ხალისიანად გატარება არ დაცალდათ. 1989 წელს მამა გარდაეცვალათ და დედის მცირე ხელფასის იმედად ვერ ისწავლიდნენ. მესამე კურსიდან დღე მუშაობდნენ და საღამოს ინსტიტუტში სწავლობდნენ, უცხო მხარეში დამოუკიდებლად გაიკვლიეს გზა. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა მათთვის 90-იანი წლები, როცა საბჭოთა კავშირი დაშალა, იძულებული გახდნენ პური არსობისა ფიზიკური შრომით მოეპოვებინათ.

ცხოვრების სირთულეების პირველ გამოწვევა ძმებმა წარმატებით დაძლიეს, ვახტანგი მშენებელ-ინჟინერი, ხოლო ვასილი ინჟინერ-მექანიკოსი გახდა. ექვსი წელი იმუშავეს სხვადასხვა ფირმებში დიდი გამოცდილება შეიძინეს, მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას, რითაც უფროსების სიყვარული, ნდობა და პატივისცემა დაიმსახურეს.

ნონა დღესაც საზღვარგარეთ შრომობს, შესანიშნავი ქარგვა ისწავლა და მისი ნაქარგები სპეციალურ კატალოგშია შეტანილი.

ძმები სტუდენტობის წლებში დაოჯახდნენ და საზრუნავიც მოემატათ. რომ იტყვიან, ოჯახების შექმნა ნულიდან დაიწყეს და ბევრსაც მიაღწიეს.

ვასილმა მეუღლესთან ერთად კომპლექსური ფირმა შექმნა და წარმატებებმაც არ დაახანა.

ფირმა წელიწადში 4 ათას კვმეტრ საცხოვრებელი სახლის კაპიტალურ რემონტს უმაღლეს დონეზე ასრულებს და მინსკში არსებულ 20 მსხვილ სამშენებლო ფირმას შორის ერთ-ერთი საუკეთესოა.

ვასილის მეუღლე ქალბატონი ლუდმილა ლომიძის გვარს ატარებს. უმაღლესი კატეგორიის ფინანსისტია და უგემრიელესი ქართული კერძების შესანიშნავი კულინარია.

ვასილი სამსახურეობრივი მოვალეობის გარდა მრავალ საქველმოქმედო საქმიანობას და მეცენატეობას ეწევა. განსაკუთრებით დიდ თანადგომას და დახმარებას უწევს მინსკში მცხოვრებ ქართულ დიასპორას.

მჭიდრო ურთიერთობა აქვს მინსკში სავარჯიშოდ თუ შეჯიბრზე ჩასულ ქართველ მოჭიდავეებთან. კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან, ქართველ მეწარმეებთან და ბიზნესმენებთან. ყველას ეხმარება, თანაუგრძნობს. არაერთი ქართველისათვის მინსკში რთული ოპერაციის გაკეთებაში დახმარებია, ბევრისთვის სამშობლოში გამოსამგზავრებელი ფული მიუცია. 200-ზე მეტი ადამიანისათვის ხელი გაუმართავს და ხშირად მადლობას მეც მეუბნებიან, ღირსეული სახლიკაცი გყავს, შეგიძლია იამაყოო.

ამ რამდენიმე წლის წინათ ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე, ჩვენი თანამოქალაქე რევაზ ლაშში ევროპის ჩემპიონი გახდა. ჩემპიონატის წინ რევაზი მინსკში ვარჯიშობდა, მის ჩემპიონობაში ვასილმა რომ იტყვიან, ლომის წილი შეიტანა. გულახდილად მითხრა, ძალიან მინდოდა, ბორჯომს ევროპის ჩემპიონი ყოლოდა და საამისოდ ყველაფერი გავაკეთეო.

თუ დღეს ლომიძეების საგვარეულო დარბაზი ყოველწლიურად სახელოვანი მოჭიდავის შოთა ლომიძის ტრადიციულ ტურნირს მართავს, ამ საქმეშიც ვასილის დიდი დამსახურებაა.

ვასილს გულწრფელად უყვარს საქართველო და კერძოდ, ბორჯომი და ბორჯომელები.

ვასილი ერთი წუთითაც არ ტოვებს მოხუც დედას უყურადღებოდ, დღეში რამდენჯერმე ეკონტაქტება, დედის დაბადების დღესთან დაკავშირებიოთ სპეციალურად ჩამოვიდა, აღდგომასაც აპირებს ჩამოსვლას.

შვილიშვილები

ვახტანგს ორი შვილი ქალვაჟი ყავს, ქალიშვილი ამერიკაში გათხოვდა და ვახტანგიც დროებით შვილთან წავიდა სტუმრად. მეორე შვილი და დედა მინსკში დარჩნენ და დღედღეზე ელოდებიან მამის დაბრუნებას.

ნონას ერთი ქალიშვილი ყავს და ორი შვილიშვილიც ეზრდება, არდადეგებეს ხშირად ბებიასთან ატარებენ.

ვასილის ერთადერთმა შვილმა - სერგომ მინსკში დიასპორასთან არსებული ქართული სკოლა დაამთავრა.

პაპის მოსახელე - სერგო, მშენებელი ინჟინერია და მამის მხარდამხარ შრომობდა. ახლა ბორჯომშია და ბებიას ეხმარება, თან ქართულ ენას ეუფლება, არსად წასვლას არ აპირებს, ბორჯომი მისთვის მშობლიური ქალაქია. 25 წლის შესანიშნავი ვაჟკაცია, ხასათით მამას გავს, კეთილი, მეგობრული, თავაზიანი, კულტურული და ყველას მოსიყვარულე პიროვნებაა.

P.S. ვასილმა მინსკში წასვლის წინ, დიდი ხნის წინათ მიღებული გადაწყვეტილება გამანდო: - სამშობლოში დაბრუნება გადავწყვიტე. საქართველოს მოქალაქეობა აღვიდგინე, ახლა ჩემს ქვეყანას უნდა ვემსახუროო.

ვასილი ამჟამად 55 წლისაა, ჯანღონით სავსე და ცხოვრებისეული დიდი გამოცდილების მქონე. მწამს, მრავალი სასიკეთო საქმეებით გაახარებს სახლიკაცებს, ნაცნობ-მეგობრებს, რომლებიც უამრავი ყავს, როგორც ბორჯომში, ისე სრულიად საქართველოს ყველა კუთხეში.

ღმერთმა გვიმრავლოს ვასილის მსგავსი ქართველები.

ვალერიან ლომიძე.

მიეძღვნა დედა ენის დღეს

ქართული ქართველთა რწმენაა!

14 აპრილს, საქართველოში დედა ენის დღე აღინიშნება. ეს დღე 1978 წლის მოვლენების აღსანიშნავად 1990 წლიდან დაწესდა.

1978 წელს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა; ამ გადაწყვეტილებით სსრკ-ის სახელმწიფო ენად რჩებოდა მხოლოდ რუსული ენა.

განზრახვის სისრულეში მოყვანას წინ აღუდგა საქართველოს მოსახლეობა. თბილისში მოეწყო მასობრივი გამოსვლები და მსვლელობა ხალხმრავალი თსუ-დან უმაღლესი საბჭოს შენობისაკენ. ვითარება ხელისუფლებისათვის უმართავი ხდებოდა, საქართველოს კომუნისტური პარტიის იმჟამინდელი პირველმა მდივანმა - ედუარდ შევარდნაძემ ხალხთან დიალოგი გადაწყვიტა და მიზანსაც მიაღწია..

საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გააცნობიერა შექმნილი ვითარება. მოსკოვი იძულებული გახდა, დაეთმო. ამ მოვლენების გამო 14 აპრილი არაოფიციალურად დედაენის დღედ გამოცხადდა.

ქართველების განვითარების მთავარ საშუალებად ხომ სწორედ „დედა ენას“ ასახელებდა იაკობ გოგებაშვილი.

სწორედ ჩვენი სახელმწიფო ენის, დედა ენის დღის აღსანიშნავ ღონისძიებას უმასპინძლა ბორჯომის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ №3 და №6 საჯარო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები...

№3 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა აკაკი წერეთლის ნაწარმოები „ღამურა“ თოჯინური სპექტაკლის სახით წარმოადგინეს. დამსწრე მაყურებელს საინტერესო პრეზენტაციები იაკობ გოგებაშვილის „დედა ენისა“ და ქართული კალიგრაფიის შესახებ წარუდგინეს მოსწავლეებმა. პრეზენტატორები გახლდნენ: **იოანე აბრამიშვილი, გიორგი ყიფიანი, ნუცა სხილაძე, ელენე ბერიძე, მარიამ ქურდაძე, მარიამ კიკნაძე, მარიამ ჩადუნელი, თამარ ჩადუნელი, სალომე ხაინდრავა, სალომე შაყულაშვილი, ელენე მელიქიძე, მარიამ ხაჩიძე.**

ნახევარი საათის მანძილზე ერთმანეთს ენაცვლებოდა სხვადასხვა ქართველი მწერლებისა და პოეტების ნააზრევი დედა ენის შესახებ. ქალბატონმა **ნანა ჩაჩანიძემ** ისაუბრა ქართული

ენის მნიშვნელობაზე და მოსწავლეებს მადლობა გადაუხადა საინტერესო პრეზენტაციებისთვის.

პრეზენტაციების მომზადებას ხელმძღვანელობდნენ პედაგოგები **ნინო კეკელიშვილი და სათუნა ლომიძე.**

დამსწრე ადამიანების აღფრთოვანება გამოიწვია ერთ-ერთი მომხსენებლის მიერ ქართველებისათვის უსაყვარლესი, **მზიანი გულის მწერლის ნოდარ დუმბაძის ამბავის გახსენებამ ჩვენი უდიდესი განძის „დედა ენის“ შესახებ, რომელსაც ჩვენ მკითხველებსაც გთავაზობთ.**

- ჩემს ოჯახში ერთი უძვირფასესი წიგნი ინახებოდა. ეს წიგნი გოგებაშვილის დედა ენა გახლდათ, რომლითაც დედაჩემი სწავლობდა და რომელსაც მე მიკითხავდა ბავშვობაში, ვიდრე სკოლაში წავიდოდი. იმიტომ კი არა, რომ „დედა ენის“ გაჭირვება იყო ჩვენს ოჯახში, არა იგი შეულოცავილი აკვანივით გადადიოდა მამიდან შვილზე და ისე იყო გაცრეცილი, ფურცელ-ფურცელ დაშლილი და ათასჯერ დაკაბადონებული, რომ ძალაუნებურად მოითხოვდა უაღრესად სათნო მოპყრობას. სწორედ ეს დედა ენა წავიღე თან, ქართველ მწერალთა ჯგუფთან ერთად თურქეთში რომ გავემგზავრე.

ქალაქ ბურსაში ერთი შავთვალწარბა ბიჭი მომიახლოვდა, ოდნავ კეხიანი ცხვირი ჰქონდა და ნაფოტივით თხელი იყო, ეკალათი და ცივი მჭადით გაზრდილ გურულ ბიჭს ჰგავდა და არც მოვტყუებულვარ.

გურჯი ვარ! - მითხრა.

თარჯიმანი გვეხმარებოდა საუბარში.

- ქართული რატომ არ იცი? - ვუსაყვედურე.

- ნენეი მომიკვდა! - იმართლა თავი.

ეს ორი ქართული სიტყვა ისე მითხრა, ტირილი მომინდა.

სასტუმროში წავიყვანე და ის ჩვენი ოჯახის განძი „დედა ენა“ ვაჩუქე.

- შენია, წაიღე, ოღონდ ისწავლე, - ვთხოვე.

თავი დამიქნია, გამიღიმა და წაიღო, წაიღო და ისეთი გრძნობა დამრჩა, თითქოს ჩემი დედა ვაჩუქე და მისი მკვდარი დედა გავუცოცხლე.

მართლაც რომ უდიდესი განძი გაგვაჩნია ჩვენ ქართველებს ჩვენი მშობლიური ენის სახით, რომლითაც მუდამ ყველამ და ყველგან უნდა ვიამაყოთ;

ქართული მარტო ენაა?! ქართული ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა! ზღვა როა! იმოდენაა!

მოამზადა ნაზო მელიქიძემ

ჩემი სათქმელი გაზეთ „ბორჯომის“ მკითხველებს

ჩემი თაობის უმრავლესობას, არც თუ ისე სახარბიელო ბავშვობა ქონდა. ქვეყანა ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის ჭრილობებს იშუშებდა. ჭირდა ცხოვრება. არ იყო საკმარისი სამრეწველო ნაწარმი და არც სურსათი.

სოფლის მოსახლეობა კოლმეურნეობებში გამომუშავებული შრომადღეებით იღებდა წლის სარჩოს. არ იყო ტელევიზია, რადიომიმღებიც კი სოფელში შეიძლება ერთ ან ორ ოჯახს ქონოდა. მაგრამ ეს არ გვაწუხებდა ბავშვებს. ჩვენი ამოცანა იყო პირველ რიგში გვესწავლა კარგად. მაშინ ხომ მართლაც დიდი ყურადღება ექცეოდა განათლებას. ხშირად გაკვეთილების შემდეგ დამატებით მეცადინეობებს გვიტარებდნენ. პირველ კლასში მისვლის შემდეგ გავიგე, სიტყვა სამშობლოს მნიშვნელობა. სწორედ ქართულ ლიტერატურაში დაბეჭდილი, დიდი ქართველი პოეტები (ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი და სხვების) პატრიოტულმა, სამშობლოზე დაწერილმა ლექსებმა გამიმძაფრა გულში ქართული ენისა და სამშობლოს სიყვარული. რა თქმა უნდა, მშობლებიც, და განსაკუთრებით პაპები და ბებიები გვინერგავდნენ გულში სამშობლოს სიყვარულს გვიღვივებდნენ, თუ როგორ ეწირებოდნენ ჩვენი წინაპრები მტრებთან ომებში სამშობლოს ერთიანობას. სწორედ სამშობლოს სიყვარულმა დამაწერინა მერვე კლასში პირველი ლექსი.

ჩვენ გვეამაყებოდა საქართველოს შვილობა.

ჩემი აზრით, საბჭოთა კავშირი რომ განვითარებულიყო, კომუნისტური ჩინეთის მსგავსად, მაშინ ასეთი ქვეყანა დედამიწაზე არ იქნებოდა. მაგრამ ბოლო წლებში გამეფებულმა კორუფციამ ყველა სფეროში და ქვეყნის უნიჭო მმართველობამ საბჭოთა კავშირი დაშალა, რომლის ნანგრევებში, პირველი ჩვენ, ქართველები გადავეშვით თავით. ჯერ სამოქალაქო ომმა შეარყია საქართველო. ჩვენივე ხელით დავანგრიეთ თბილისი. შემდეგ კი დავკარგეთ აფხაზეთი, კოდორის ხეობა და ბოლოს მივაყოლეთ სამაჩაბლოც. დღესაც გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ. რა მოგველის ხვალ, არავინ იცის. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დამოუკიდებლობის პერიოდში ძალიან შემცირდა შობადობა და ქართველი ერი გაერომ 2050 წლისთვის მომაკვდავი ერების რიცხვში შეიტანა. ეს კი საგანგაშოა. ქვეყნიდან მიგრაციამ უმაღლეს პიკს მიაღწია და ხელისუფლებამ არ შეცვალა თავისი პოლიტიკა სოფლების მიმართ. პირველ რიგში უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები და განვითარდეს მაღალმთიანი სოფლები. სოფელ დვირს ამის პოტენციალი აქვს, შეიძლება აშენდეს ბუნებრივ გოგირდოვან წყლებზე სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დაწესებულება, რაც დამატებით შემოსავალს გაუჩენს მოსახლეობას. თუ ახალგაზრდობა არ დაბრუნდება სოფელში, ეს დიდი კატასტროფა იქნება სოფლებისათვის. დღეს დვირის სკოლაში 60-მდე ბავშვი სწავლობს, როცა ჩემ დროს 250-260 ბავშვი სწავლობდა. გარდაქმნა ესაჭიროება განათლების სისტემას, რათა ამაღლდეს განათლების ხარისხი, ჩვენი საზოგადოების დიდ სირცხვილად მიმაჩნია ისიც, რომ სოფლად მცხოვრებ ყველაზე განათლებულ ფენას ინტელიგენციას, რაიონული გაზეთიც არ აქვს გამოწერილი. არადა, რაიონულ გაზეთს ყველა ოჯახში უნდა კითხულობდნენ. ბევრმა არც იცის, რა პროცესები მიმდინარეობს რაიონში. რაიონული გაზეთი იგივეა ჩემთვის, რაც პური და წყალი. წიგნის და გაზეთის მაგივრობას ვერასოდეს ვერ გაწევს ტელევიზია და ვერც ინტერნეტი, ვერც სმარტფონი. უწიგნური ადამიანი კი ვერასოდეს გახდება ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქე.

ჯემალ ბიბილური, დვირი

იდეებს შეწირული ადამიანები

ომი რომ დაიწყო, ეს უკვე დამარცხებაა

ორი თვეა, რაც ომი მიმდინარეობს რუსეთსა და უკრაინას შორის. რუსეთი დიდი იმპერიის მფლობელია და იცავს ამ იმპერიას. ასევეა ამერიკაც, მანაც ძალადობით და სისასტიკით მოიპოვა რიგ ქვეყნებზე გავლენა. ფაქტიურად, ეს ორი დიდი იმპერია ერთმანეთს ეომება და პატარა ქვეყნები ამ დროს იჭყლიტებიან. ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით ყველა, თან დღეს თუ არა, ხვალ შეიძლება საქართველოშიც წამოვიდეს ტყვიების „წვიმა“. ჯერ-ჯერობით ომს არავითარი დამთავრებ-ის პირი არ უჩანს. სწორედ ეს ძალ-ები წყვეტენ ომის დამთავრების ბედს.

კი ბატონო, რუსეთის დასუსტება, დამარცხება და დაშლა უნდა ამერიკას, სხვისი შვილების ხარჯზე, თორემ ცის დახურვას ეხვეწება ზელენსკი დასავ-ლეთს და არ უსრულებენ.

არიან ტელეარხები, სადაც გადაცე-მებში გაიგონებთ, რომ უკრაინული ხელისუფლება ნაცისტები, ნეოლიბარალე-ბი არიანო. მართალიცაა, ომი გარდუ-ვალი გახდა და ხალხი ფარად გამ-ოიყენეს, ფაქტიურად, გაწირეს. ეს ყვე-ლაფერი მოანწყეს იმისთვის, რომ დასავ-ლეთის ბრძანებები შეესრულებიათ. გმირად ნათ-ლავს დასავლეთი ზელენსკის, რათა ომი გახანგრ-ძლივდეს და სხვა ქვეყნებიც ჩაითრიონ ომში. ზელენსკი თავისი ხალხის მტერია, როგორ შეი-ძლება ასეთი ადამიანი პატრიოტად აღიარო. ომში ცალკეულ პირთა იდეებს ეწირება უდანაშაულო ხალხი.

უკრაინელი ხალხი მეცოდება, მათი ხელისუფლება ზელენსკის მეთაურობით მძულს, რა თქმა უნდა, პუტინიც. ზიზღს იწვევს მათი ეკრანზე დანახვა. ამჟამად უკრაინაში 205 გარდაცვლილი და 400 ბავშვია დაშავებული, 17 ათასი ადამიანი ლტოლვილადაა საქართველოში შემოსული, სულ კი 10 მილიონს გადააჭარბა ლტოლვილთა რიცხვმა, დახოცილებს კი ვეღარ ითვლიან, ყოველდღიურად მატულობს. აი, ეს ყველაფერი, უკრაინის ხელისუ-ფლებამ თავისი გაუაზრებელი ქმედებით „მოიპო-ვა“.

დასავლეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ უკრაინას მიაწოდოს შეიარაღება, გაუწიოს ჰუმანი-ტარული დახმარება, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ყველაფერი საკმარისი არაა, უკრაინა დასავლეთის ანკესს წამოეგო და სერიოზული პრობლემების წინაშეა.

უკრაინას საქართველოს ომში ჩაბმა სურს, ისეთი პროპაგანდა და აგიტაცია მოდის მათგან, უნდათ რუსეთს დაგვიპირისპირონ, როგორც ისინი მო-ტყუვდნენ, ასევე სურთ საქართველოს ომში ჩაბ-მა. ათასნაირ ბრალდებებს გვიყენებენ. და ამავე დროს, საქართველოში დესტრუქციული ძალები ყველაფერს აკეთებენ, რომ ხალხს სინამდვილე დაუმალონ. ამერიკაც და ევროპაც ებრძვის ჩვენს ქრისტიანობას, ამიტომ გვთხოვენ გეი აღლუმების ჩატარებას. ებრძვიან ჩვენს კულტურას, ენას, ტრადიციებს.

ისეთი ადამიანები, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ დავით გარეჯი ჩვენი არ არის, თან პატრიოტიზმზე, სიყვარულზე გვე-ლაპარაკებიან და გვეუბნებიან, ტერიტო-რიების დაბრუნების შანსი გვაქვს და მერე მოგვიწოდებენ, ჩავებათ ამ ომში, ასეთ ადამიანებს რატომ უნდა დავუჯეროთ. ჩვენ ჩვენი რელიგია, ენა და მიწა გვინ-და შევინარჩუნოთ, თორემ „დღესაც მღ-ერის ქართველი ფერეიდანში ქართუ-ლად“... ასეთი თავისუფლება არ გვინდა.

ახლა ევროკავშირმა განაცხადი გააკეთა დაჩქარებული წესით უკრაინის, მოლდო-ვას და საქართველოს ევროკავშირში გაწ-ევრიანებაზე და 369 კითხვარი გამოგზა-ვნა, რომელიც უნდა შევავსოთ. პასუხის გასაცემად ერთ თვეს გვაძლევენ, შემდეგ კიდევ ამდენივეს გამოგვიგზავნიან. კიდევ არავინ იცის, დავაკმაყოფილებთ თუ არა მათ სურვილებს. თურქეთი 50 წელია ევროკავშირში შესვლას დღესაც ელოდება. გასაკვირი არ არის, რომ ეს სატყუარა არ იყოს ჩვენი ქვეყნისთვის. ღმერთმა უწყის ამ კითხვარებით რას ითხოვენ.

ძალიან მომეწონა ემზარ კვიციანის ტელევიზიის ეკრანზე ნათქვამი: - ამ ომში ჩვენ უნდა ვითა-მაშოთ შემრიგებლური როლი, რადგან უკრაინელებიც და რუსებიც ჩვენი ყოფილი ძმები არიან, - უკრაინას ომი რომ ჰქონდეს ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან, მეც იქ ვიქნებოდი და დავუდგებო-დი უკრაინელებს გვერდში (მის პატრიოტიზმში, ალბათ, ეჭვი არავის ეპარება, კოდორის ხეობის დაკარგვას ახლაც მტკივნეულად განიცდის).

ბევრს არ გავაგრძელებ, იმედს ვიტოვებ, რომ დღევანდელი ხელისუფლება იმ პოზიციაზე დარჩე-ბა, რა პოზიციაზეც აქამდე იყო და მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობიდან მშვიდობიანად გამოვა. იქნებ, ჩვენც მშვიდობიანი გზით ვეღირსოთ გამთლიანებულ საქართველოში ცხოვრებას, ოცნე-ბა რეალობად გვექცეს. საქართველო ომს ვეღარ გაუძლებს.

ნათელა იჩქიტიძე
პენსიონერი პედაგოგი

აღდგომის სადიდებელი

ფეხქვეშ დაუფინეს პალმა და ბზებიო,
ასე მიამბობდა ჩურჩულით ბებია,
მერე აღდგომამდე დღეებს დავითვლითო -
- აღდგომას „თანაფა“ ქვიაო ბებია...
აღდგომას ყოველთვის მზეა და მერცხლებიცო-
აივანს მირჩენია გამხმარი ბუდე,
მეზობლის ქალები საფქვავში მიდიანო,
ჭიშკართან ვდგავარ და ბავშვივით ვუმზერ....
ბავშვივით მომეხატრა ბზები და ის გზები,
ფეხით რომ მოგსდევდი აღმართზე კისკისით -
როგორ მიხარდა „თანაფა“ ბებია,
შენ რამდენ -
შენ რაااამდენ სიცელქეს მაცდიდი...
შენ რამდენ უფლებას გვაძლევდი მეფრინა,
მას მერე არ მიყვარს უფრთებოდ თამაში,
უშენოდ მე ახლა ისევ ის ბავშვი ვარ -
- შენ რომ მიდიოდი და მე არ გიგიშვი....
ჰო,
ბე,
არ გიშვებდი -
- ყარებიც დახურეთქო,
სიბნელე მაშინებდა და წვიმის ხმაური,
შენ შუბლს მიკოცნიდი,
სინათლეს აგინთებო -
- არ ვინდა ბებია,
არ გინდა, დავმშვიდდი...
დავემშვიდდი,
რადგანაც შენს ხელებს შუბლთან ვგრძნობ,
ო, ბებო, რამდენი კოურები გაგიჩნდა -
- მე ვხუჭავ თვალებს და ფიქრებით ვბრუნდები,
ფიქრებში ყოველთვის პატარა ბავშვი ვარ...
და ახლაც კისკისით მოვრბივარ ეზოში,
ბზა მომაქვს,
მიყვარხარ,
გილოცავ ბებია.....

დიკა სალაყაია

ინფორმაციული ომის ეპოქა

ჩვენ ინფორმაციული ომის ეპო-ქაში ვცხოვრობთ და გამოვუტყდეთ საკუთარ თავებს, რომ არც ისე ადვილია ამ დროს საკუთარი ემოციე-ბის მართვა. ნამდვილი თუ ყალბი ინფორმაციული ნიაღვარი გვიტევს ყველა მხრიდან - ტელევიზორე-ბიდან, სოციალური გვერდებიდან, ნებისმიერი ინტერნეტ-გვერდიდან, გაზეთებიდან... ტყუილ-მართალის გარკვევაში ვეკამათებით ერთმა-ნეთს, ხშირად შეურაცხყოფას ვაყენებთ სრულიად უცხო ადამიანებს, ბრაზით და ბოღმით ვივსებით, საკუთარ თავებს ვკარგავთ და აღარ ვიცით, რის გვჯერა და რის არა. ხშირად აღარც გვინდა სიმართლის გაგება, ჭორებს ღრუბელივით ვისრუტავთ და კმაყოფილები ვართ - თავებს განვითარებულ-განათლებულებად ვთვლით და ასე ზომ-ბირებულ მასად ვიქეცით. ამ დროს ძალიან ადვილია მრავალწლიანი კეთილი ურთიერთობების გაფუჭება მეგობრებთან, კოლეგებთან, ახლობლებთან.

ინფორმაციული ომი საშიშია ყველა დროს - იქნება ეს მშვიდი პერიოდი, პანდემია თუ ბუნებრივი კატაკლიზმების გააქტიურება. მაგრამ ალბათ ეს პროცესი ყველაზე მეტად აგრესიული ხდება სახელმწიფოთა შორის ომის დროს. დღეს ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია. სამწუხაროდ, უპრიანი იქნება ქვემოთ მოცემული სამახსოვრო მოსახლეობის გავაცნოთ. რაც უფრო მეტი ადამიანი გაითვალისწინებს და შეისისხლხორცებს მას, მით უკეთესი იქნება თითოეული ჩვენთაგანისთვის.

1. **ნებისმიერი** ომი დამთავრდება ადრე თუ გვიან.
2. **ნებისმიერი** ქვეყნის მოსახლეობა სხვადასხვანაირია და ყველა არ მონაწილეობს ომში, ამიტომ არ არის საჭირო ყველას სათითაოდ და განურჩევლად მათი მოსაზრებებისას მიაყენო შეურაცხყოფა.
3. **პოლიტიკოსები** მორიგდებიან, მაგრამ შენ დარჩები იმ სიბინძურესთან ერთად, რომლითაც „ამკობდი“ შენს „იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეს“.
4. **ომის დროს** იტყუება ყველა. ნუ გაავრცელებ იმ ინფორმაციას, რომლის სიზუსტეში არ ხარ დარწმუნებული. თუ მაინცდამაინც გინდა, რომ რამე დაწერო, აღწერე მხოლოდ ის, რაც საკუთარი თვალით ნახე. ეს უფრო მეტად გულწრფელი საქციელია, რადგან სხვა ყველაფერი ფარსში მონაწილეობის ტოლფასია.
5. **თუ ძალიან** გინდა საკუთარი მოსაზრების გამოთქმა - გამოთქვი, მაგრამ არ არის აუცილებელი სხვას შეურაცხ-ყოფა მიაყენო.
6. **თუ სხვა** ადამიანის მოსაზრებას არ ეთანხმები ან არ მოგწონს, მაგრამ ძალიან გინდა საკუთარი აზრი გამოხატო, - გამოხატე, მაგრამ მოსაზრების შესახებ და არა ამ კონკრეტ-ული ადამიანის მიმართ, რადგან შენ მას პირადად არ იცნობ.
7. **სიძულვილი** იმ ადამიანებისადმი, რომლებსაც არ იც-ნობ, პათოლოგიაა.
8. **ადამიანური** ურთიერთობები საკმაოდ რთულია ოჯახ-ისა და კოლექტივის ფარგლებშიც, სახელმწიფოებს შორის მით უმეტეს. ეს პრიმიტიული ადამიანებისათვის არის ად-ვილი და გარკვეული. ამიტომ წინასწარ ნუ გამოიტან დასკვნებს, ნუ იქნები პრიმიტიული.
9. **ყოველთვის** დარჩი ადამიანად და გახსოვდეს პუნქტი №1. **მშვიდობა ყველას.**

რუსუდან სხირტლაძე

ბიბლიოთეკის გამოჭყეპილი ბავშვები

ერთი თვეა, რაც წაღვერის საჯარო სკოლაში უკვე ჩაირიცხნენ და სწავ-ლობენ უკრაინიდან დევნილი ბიძაშვილ-მამიდაშვილი: მესამე კლასელი 9 წლის **გიორგი ბლუაშვილი** და 10 წლის **ნინო კუკავა.** ამ ბავშვებმა თავშესაფა-რში 8 დღე გაატარეს და ღვთის ნებით ბომბებს სალ-სალა-მათები გამოექცნენ. სკო-ლაში ჩვეულებრივ ადაპ-ტირებასაც, ცდილობენ. ნინო ორგზის დევნილია, რადგან მისი მშობელი აფხაზეთიდანაა და დევ-ნილობა ხარკოვში გაგრ-ძელდა. რა აკავშირებს ოჯახს საქართველოსთან და რატომ აირჩიეს საცხ-ოვრებლად ცემი, ამის გარკვევისთვის მათი ისტორია წინაპრებიდან უნდა დავიწყო. ბავშვებ-ის ბებია და ბაბუა აწყურიდან არიან წარ-მოშობით, თუმცა მათი ბავშვობა ბორჯომს უკავ-შირდებოდა. ხარკოვში გაიცნეს ერთ-მანეთი სამშენებლო ფაკულტეტზე და შექმნეს ოჯახი. გარკვეული ბიზნესიდან თანხის დაგროვების შემდეგ თავიანთი გადაწყვეტილებით დაუკავშირდნენ მშობ-ლიურ ქვეყანას, კერძოდ, ცემში შეიძინეს მიწის ნაკვეთი, სადაც დაზოგილი ფუ-ლით სახლიც აიშენეს იმ განზრახვით, რომ ზაფხულობით შვილიშვილებს ჩამ-ოიყვანდნენ დასასვენებლად. ასეც მოხ-და, თუმცა ომმა შეცვალა მათი ცხ-ოვრება.

ბავშვების ბებია - **ნათელა ბლუაშ-ვილი** გვიყვება ყველაფერს დაწვრილებით: ერთდროულად უკრაინის და საქართვე-ლოს მოქალაქეც ვარ. 42 წელი ვიცხ-ოვრე უკრაინაში. ომი 24 თებერვალს დაიწყო და ჩვენ კორპუსის სამალავში ჩავედით 25 თებერვალს. ჩვენი საკვები იყო: შაქარი, თაფლი, ჩაი, ყველი და პური. სამ მიტყუპებულ სკამზე ეძინა ჩემ შვილიშვილს. გადაგვიყვანეს მალე უფრო დაცულ თავშესაფარში, რომელ-საც ბომბი დიდად ვერაფერს დააკლებ-და და იქ ვიყავით 7 დღე. ოც მეტრ-ში ისმოდა ტყვიების ხმა. არავის ეგო-ნა, რომ ამდენი ხნით გაგრძელდებოდა ომი. უფლის იმედით, მე გადავწყვიტე წამოვსულიყავით, და თუნდაც, გზაში დავებომბეთ, ვიდრე იქ ჩემი თვალით მენახა ჩემი შვილიშვილის, გოგოს გაუბე-დურება. ამდენი სასტიკი ამბავი მოდიოდა ჩვენამდე, გაუპატიურება, წამება. ჩეჩნები არავის არ ინდობდნენ. 8 დღე ვიარეთ მანქან-ით. ჩამოვედით ცემში.. ჩემი ბიჭიც და სიძეც იქ არიან დღემდე. ჩვენ - ქალები და ბავშვები კი აქ ვართ - ცემში. შვილი სამხედრო მოვ-ალეა და არ ჰქონდა ქვეყნის დატოვების უფლება, ამიტომ ყველა როცა წამოვედით საქართველოში, ის უკანვე გაბრუნდა. მალე, როგორც მცირეწლოვა-ნის დედა, გამოუშვეს და დღეს აქ მუშაობს. უკვე შვილის გვერდითაა. ჩემი მადლიერება მინდა გამ-ოვხატო ბორჯომის მერის - ბატონ **ოთარ არბოლიშვილის** მი-მართ. მან გამოიჩინა კეთილსინდისიერე-ბა და თანადგომა, ყოველთვიურად გათ-ბობის გადასახადს უზრუნველყოფს. უღ-რმესი მადლობა მინდა გამოვუცხადო წაღვერის სკოლის დირექტორს - ქალ-ბატონ **ირინა ხელისუფალს,** რომელ-მაც სკოლის კარი გაგვიღო და იზრუნა ჩემ შვილიშვილებზე. ამ ბავშვებს არა-სოდეს დაავიწყდებათ აქაური პედაგოგების თბილი მიღება და ყურადღება.

ნინო კუკავა: შეშინებული ვიყავი. ძალიან გვციოდა თავშესაფარში, საჭ-მელიც მინდოდა, მაგრამ ჩაის გარდა არაფერი დაგვრჩა. შემდეგ კეთილმა ხალხმა მოგვაწოდა ჩუპა-ჩუპსის კამფეტები, გემ-რიელი ღვეზელი.

გიორგი ბლუაშვილი: თავიდან დერე-ფანში გვეძინა, არ გვინდოდა სახლის მიტოვება. არასდროს დამავიწყდება ეს დღეები. ქართულად საუბარი მინდა კარგად ვისწავლო, მეგობრების გამოც და იმიტომ, რომ ბლუაშვილი ვარ.

მონიკა ჭანტურია

ფირმების წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

რეკლამა გაზეთის ჰაერივით ესაჭიროება

90 წლის რაიონულ გაზეთ „ბორჯომს“ ქვეყანაში არსებული კრიზისისა და ცხოვრების გაძვირების გამო გარკვეული ფინანსური სიძნელეები შეექმნა. 100%-ით გაგაძვირეს გაზეთის ბეჭდვა. იძულებული გავხდით, შეგვემცირებინა რედაქციის თანამშრომელთა ისედაც მიზერული ხელფასები, ფოსტალიონებს ვეღარ ვუხდით ანაზღაურებას, ვეღარც ფერად ილუსტრირებულ გაზეთს ვბეჭდავთ.

ახლაც ისევ თქვენი იმედი გვაქვს! გთხოვთ, გაიღოთ გარკვეული რაოდენობის თანხა და გახდეთ ცალკეული ნომრის სპონსორი. ამავე დროს გაზეთის ფურცლებზე უფასოდ გამოვაქვეყნებთ თქვენი თანამშრომლების განცხადებებს, მილოცვებს და სხვა მასალებს. თუ თანახმა იქნებით, თქვენს საწარმოს (ორგანიზაცია-დაწესებულების) ან თქვენი ცალკეული თანამშრომლების შესახებ მოვამზადებთ საგაზეთო წერილებს.

ყოველგვარი რეკლამა და ქველმოქმედება გაზეთის ჰაერივით სჭირდება! განათავსეთ თქვენი რეკლამები, განცხადებები, მილოცვები, ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ემსახურება თქვენი კომპანიის წინსვლას.

გთხოვთ, გადაარჩინოთ საუკუნეს მიღწეული გაზეთი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის!

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:
შპს „პრესა“
ს/კ 226110749
ლიბერთი ბანკი
GE29LB0113141250316000
GE20TB0156136080100004
LBRTGE22 TBCBGE22G
ელ.ფოსტა: ტელ: 22 29 65,
borjomipress9@gmail.com
ტელ: 599 22 79 29
borjomi@inbox.ru
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2.

გაზეთი „ბორჯომის“ რედაქცია

ნაწყვეტი წიგნიდან „ლუკას სახარება“

● **ხომ არ არსებობს აღდგომა?**
– დიახ, მასწავლებელო.
● **დიახ კი არა, არა-თქო!**
– არა, მასწავლებელო!
● **მაშ ეს ბიჭი ხომ იმსახურებს ამისათვის სასჯელს?!** – ლუკაზე მიუთითა დირექტორმა.
– დიახ, მასწავლებელო!
● **აბა, შემოარბენინეთ ასი წრე!** – ბრძანა დირექტორმა და ბალღები კიჟინით გაეკიდნენ ლუკას.

ორმოცდამეთხუთმეტე წრეზე მთელი ეზო თვალებში დაუტრიალდა ლუკას და გონი აერია, მუხლები მოეკვეთა და წაიქცა. დირექტორმა წამოაყენა და ჩაეკითხა:

● **აბა, აღდგა ქრისტე?**
– **ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ,** მასწავლებელო..!

გოდერძი ჩოხელი

წერილი რედაქციას

მადლობა განეული სამსახურისთვის

ჩვენ, ბორჯომის მაცხოვრებლები, უღრმეს მადლობას ვუხდით ბორჯომის მერს ბატონ **ოთარ აროლიშვილს** და მთელ მუნიციპალიტეტის სამსახურს, ასევე ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტის დირექტორს ბატონ **დიმიტრი ყიფიანს**, რომ გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი თხოვნა და კვირა დღეს ქალაქს მოემსახურება - მუნიციპალური ტრანსპორტი. ვხედავთ, რომ ქალაქს ამშვენებს ახალი ავტობუსები და დაემატა ახალი მარშრუტები.

მადლობა, საწვავის გაძვირების მიუხედავად შენარჩუნებული ტარიფებისათვის, არსად საქართველოს არცერთ ქალაქში არ არის ასეთი იაფი და კომფორტული მგზავრობა. მადლობა იმისთვის, რომ მიუხედავად პანდემიისა არ ყოფილა არანაირი შეფერხება და ყველანაირი სადეზინფექციო საშუალებების დაცვით სდებოდა ტრანსპორტირება.

მადლობა არაჩვეულებრივ მძღოლებს კეთილსინდისიერი მომსახურეობისათვის, პირბადეებით, უმძიმეს ეპიდოლოგიურ ვითარებაში, გვემსახურებოდნენ მთელი დღე დაუღალავად. სიცხეში თუ სიცივეში

გისურვებთ წარმატებებს ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ.

რჩევები დიასახლისებს

ყველაფერი კვერცხის შესახებ

კვერცხი თავისი შემადგენლობით უნიკალურია.

1. როგორ გავიგოთ ახალია თუ ძველი?

2. რამდენი შეიძლება მივირთვათ?

კვერცხში ბევრია დე ვიატამინი.

კვერცხის ხარისხს განაპირობებს ქათამი.

მნიშვნელოვანია, თუ რა პირობებში იზრდება ქათამი.

კვერცხი შეიძლება 24 დღე შევინახოთ.

დიდი საფრთხეა სალმონელა, რომელიც ქათამს შეიძლება ქონდეს და იგი გადადის კვერცხში, რომელიც რთულად სამკურნალო დაავადებაა.

არჩევანი გააკეთეთ ფერმის კვერცხზე.

როგორია სანიტარული მდგომარეობა ფერმაში. პირბადე, ხელთათმანები ხალათი აუცილებელია.

კვერცხს უნდა ეწეროს დადების თარიღი.

კვერცხის სიდიდე დამოკიდებულია ქათამზე.

ქათმის კვერცხი ყველაზე სასარგებლოა;

მწყრის კვერცხი სალმონელათი იშვიათად ავადდება;

კარგად მოხარშეთ კვერცხი;

შეიძინეთ ახალი კვერცხი, იგი 7 დღე ხარისხიანია. შიგთავსი არაა გაფუჭებული.

თუ კვერცხი ძველია, ლაყლაყებს.

თუ გული მუქია უფრო ხარისხიანია.

კვერცხის ფერს განაპირობებს ქათმის ჯიში.

როგორ შეიღებება თეთრი და მუქი ფერის კვარცხი, მუქი უფრო მუქად შეიღებება.

სიმინდზე გაზრდილი ქათმის კვერცხი გული უფრო ღიაა.

კვერცხში ბევრია ერდესტერენი.

რამდენი კვერცხი უნდა მივირთვათ? კვირაში არ უნდა მივიღოთ 12 კვერცხზე მეტი. ის ალერგიული პროდუქტია.

შეძენილი კვერცხი მოხარშვის შემდეგ ცხელი წყლიდან ცივ წყალში მოათავსეთ.

მაცივარში კვერცხი შეინახეთ თავით დაბლა.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: **ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თეოდორე მღვდლის ქ.№57.**

borjomi@inbox.ru **რედაქტორი: ვალერიან ლომიძე**

იზაბელა სანიკიძის გამოსათხოვარი

17 აპრილს, ბზობის დიდებულ დღესასწაულზე, უფალს მიებარა ჩვენი მეგობრის იზაბელა სანიკიძის სული.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციაში იზაბელამ თითქმის 50 წელი იმუშავა. წლების მანძილზე ვისხედით ერთ ოთახში და ერთ საქმეს ვაკეთებდით...

კარგი ჟურნალისტი იყო და მშვენიერი, მრავალფეროვანი სტატიებიც ჰქონდა გაზეთის თითქმის ყველა ნომერში...

უზომოდ განიცდიდა უდროოდ წასულების ჩვენი კოლეგების იზო ნამგალაძის და ლუიზა კურტანიძის გარდაცვალებას, ახლა კი თვითონაც დაგვტოვა...

გარდაცვალებამდე, რამდენიმე საათით ადრე მეზობლისათვის უთხოვია, ტაძრიდან ბზა წამომიღეო...

უფალმა ასე ინება და იზაბელა სანიკიძე აღდგომის ბრწყინვალე დღეებში მიებარება მშობლიური ბორჯომის მიწას.

ნათელი და სანთელი ჩვენს მეგობარს!

P.S. **ეს ფოტო 20 წლის წინათაა გადაღებული.**

მარცხნიდან აწ გარდაცვლილები: იზაბელა სანიკიძე, ლუიზა კურტანიძე, იზო ნამგალაძე.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რედაქციის ვეტერანი თანმშრომელი

იზაბელა სანიკიძე

და სამძიმერს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რძლები: დალი სანიკიძე, დოდო მაღრაძე, ანი პეტრიაშვილი, ნათია გაზაშვილი, ძმისშვილები თეონა, რამაზი, ზვიადი, პაპუნა, ნინო სანიკიძეები, სიძეები ვახტანგ ხადური, ალექსი ლუსკიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იზაბელა სანიკიძე

პანაშვიდი 20 IV 6 საათზე, დაკრძალვა 21 IV 2 საათზე, პეტრიწის ქ. №1

ახლო მეზობლები: მაყვალა კობიძე, ლიანა ტალახაძე, ნანა ნოზაძე, მერი ვარდიძე, ომარ კიკაძე, ავთო ხრიკაძე, ლევან ლეკიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ სანიკიძეების ოჯახს

იზაბელა სანიკიძის

გარდაცვალების გამო.

ზაურ ბლიაძის მოსაგონარი

ზაურ 24 აპრილი, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ხომ შენს დაბადების დღეა. უკვე მეთერთმეტე თვალცრემლიანი წელი მიილია უშენოდ ჩემო ძვირფასო და დაუვიწყარო მეუღლევ, გილოცავ დიდი სიყვარულითა და სიამაყით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს - ქრისტე აღსდგა. ზაურ, რაც მეტი დრო გადის, უფრო და უფრო გვიმძიმს უშენობა. ყოველი შენი მოგონება ცრემლით მთავრდება. დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილს, რაც შენს გარდაცვალებას მოჰყვა.

ჩვენო მოამაგე, მოსიყვარულო და მზრუნველო ადამიანო, გულმოკლულნი და შენით მონატრებულნი შევყურებთ შენს სურათებს. შენ იყავი ღირსებით სავსე მეუღლე, უსაზღვროდ ერთგული მამა და შვილიშვილებზე უზომოდ შეყვარებული პაპა.

შენ ჩვენთვის ყოველთვის ცოცხალი და უკვდავი ხარ, შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ცრემლითა და ყვავილებით მოვალთ შენს საფლავზე, დაგინთებთ სანთლებს, ტრადიციისამებრ კვერცხს გავაგორებთ და მუდამ ვილოცებთ შენი სპეტაკი სულისათვის.

ილოცე მანდედან შენი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილებისათვის. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ახალდაბის მიწა, რომელზედაც სულით-ხორცამდე იყავი შეყვარებული.

მუდამ ვილოცებთ შენი სპეტაკი სულისათვის, რათა ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფევლისაკენ.

შენი ოჯახი: მეუღლე - ციცო, შვილები: ლაურა და მამუკა, რძალი მაკა, შვილიშვილები: სოფო, გობე, ციცინო და ზუკა, შვილთაშვილები: ოთო, ანასტასია და საბა.

მიშიკო ოგანეზოვის, დავით პოპოვის, საველ მოსესოვის და ალან ხუბაევის მოგონება



მეთვრამეტედ დადგა აპრილი, მეთვრამეტედ მოვიდა უთქვენოდ გაზაფხული, ჩვენო შვილებო, ჩვენო ბიჭებო. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, სანამ გონება და თვალი გვიჭირს, თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია, თაობებს გადავცემთ თქვენს შესახებ, რომ თქვენი წასვლის შემდეგ დაბადებულ თქვენს ძმისშვილებს თუ დისშვილებს, ახლობლებს, მეზობლებს, თანასოფლელებს ყოველთვის სიყვარულით ახსოვდეთ. ტკივილი არ გვინელდება და არც არასოდეს გაგვინელდება. მშობლები არ უნდა მარხავდნენ შვილებს, ეს ბუნებაში არ უნდა ხდებოდეს... სად წახვედით, სად გაგვიფრინდით, ჩვენო ნაადრევად წასულებო...უფალს ებარებოდეთ!

თქვენი მშობლები

დათო სახელაშვილის გახსენება

მეთორმეტედ უშენოდ დადგა აპრილი, ჩვენო დათო, ჩვენო მოუნელებელო ტკივილო! ვერ ვეგუებით უშენობას და ვერც ვერასოდეს შევეგუებით. უდროოდ წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე გაუსაძლისი სევდა. მეორე წელია, რაც მამაშენმაც დაგვტოვა, დაგვემატა გულისტკივილი. ბოლო ამოსუნთქვამდე შენზე ფიქრი არ ტოვებდა. რამდენ ადამიანს დაწყვიტე გული, სამშობლოდან შორს გაატარე ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე სიცოცხლის ბოლო დღეები.. მშობლიურმა ბაკურიანმა კი დაგიტირა, აქ არის შენი საფლავი...

არ უნდა უკვდებოდეთ მშობლებს შვილები...

შენი დედა და და.